კლინიკური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

(დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს 2025 წლის 24 მარტის

სხდომის ოქმით №6)

COPYRIGHT © LLC ALTE UNIVERSITY. THE MATERIALS GIVEN IN THIS MANUAL FOR QUALITY ASSURANCE OF CLINICAL STAGE ARE INDICATED FOR PERSONAL AND EDUCATIONAL PURPOSES ONLY. PRIOR WRITTEN PERMISSION MUST BE OBTAINED FROM LLC ALTE UNIVERSITY FOR USE IN ANY ACADEMIC PROGRAM(S), TRAINING(S) OR/AND FOR OTHER PURPOSES | საავტორო უფლება © შპს ალტე უნივერსიტეტი - კლინიკური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში მოცემული მასალები მითითებულია მხოლოდ პირადი მოხმარებისა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ში, ტრენინგ(ებ)ში ან/და სხვა მიზნით ამ დოკუმენტის გამოყენებამდე, საჭიროა შპს ალტე უნივერსიტეტის წინასწარი წერილობითი თანხმობა ამგვარ გამოყენებაზე

შინაარსი

შესავალი 2

სახელმძღვანელოს შემუშავების მიზნები 2

წინამდებარე სახელმძღვანელო შემუშავდა რამდენიმე მიზნით 2

მოქმედების სფერო 3

მოთხოვნები კლინიკური სასწავლო გარემოსადმი 3

მოთხოვნები კლინიკურ სწავლებაში ჩართული ადამიანური რესურსებისადმი 4

კლინიკური სწავლების პროცესში სტუდენტების მიერ გამომუშავებული უნარები 5

სტუდენტების შეფასების მეთოდები 6

კლინიკური სწავლების/პრაქტიკის განხორციელების ინდიკატორები 7

პერსონალის განვითარება 7

სასწავლო გეგმა და სასწავლო მასალა 8

სწავლების და სწავლის მეთოდები 8

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები 9

დასკვნა 11

გამოყენებული ლიტერატურა 11

COPYRIGHT © LLC ALTE UNIVERSITY. THE MATERIALS GIVEN IN THIS MANUAL FOR QUALITY ASSURANCE OF CLINICAL STAGE ARE INDICATED FOR PERSONAL AND EDUCATIONAL PURPOSES ONLY. PRIOR WRITTEN PERMISSION MUST BE OBTAINED FROM LLC ALTE UNIVERSITY FOR USE IN ANY ACADEMIC PROGRAM(S), TRAINING(S) OR/AND FOR OTHER PURPOSES | საავტორო უფლება © შპს ალტე უნივერსიტეტი - კლინიკური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში მოცემული მასალები მითითებულია მხოლოდ პირადი მოხმარებისა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ში, ტრენინგ(ებ)ში ან/და სხვა მიზნით ამ დოკუმენტის გამოყენებამდე, საჭიროა შპს ალტე უნივერსიტეტის წინასწარი წერილობითი თანხმობა ამგვარ გამოყენებაზე

შესავალი

კლინიკური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო (შემდგომში - სახელმძღვანელო) შემუშავდა იმ სტანდარტებისა და პროცედურების განსასაზღვრად, რომლებიც ხელს შეუწყობენ მაღალი ხარისხის კლინიკური სწავლების უზრუნველყოფას ალტე უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მედიცინის საერთაშორისო სკოლაში. წინამდებარე სახელმძღვანელო გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტების, ასევე კლინიკური სწავლების პრაქტიკის ობიექტებზე სასწავლო პროცესის განხორციელების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

მედიცინის საერთაშორისო სკოლა მუდმივად ზრუნავს შეინარჩუნოს სამედიცინო განათლების მაღალი სტანდარტი და უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კლინიკური სწავლება კურიკულუმის განხორციელების კლინიკურ საფეხურზე, მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლისა და მსოფლიოს უმაღლეს სამედიცინო განათლებაში არსებული საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით.

სახელმძღვანელოს შემუშავების მიზნები

წინამდებარე სახელმძღვანელო შემუშავდა რამდენიმე მიზნით:

- მაღალი ხარისხის კლინიკური სწავლება - სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის კლინიკური განათლების უზრუნველყოფა - სტრუქტურირებული და თანმიმდევრული სწავლების პრაქტიკით.
- უწყვეტი სწავლების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა - სწავლება-სწავლის პროცესების რეგულარული შეფასება კლინიკური სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.
- ეფექტური სწავლების უზრუნველყოფა - სწავლის შედეგების გაუმჯობესება და პროფესიული კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა.
- ეთიკური და პროფესიონალური სტანდარტების დაცვა - პროფესიული ქცევის მაღალი დონის უზრუნველყოფა.
- უკუკავშირის მექანიზმების დანერგვა - სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეგულარული გამოკითხვის პრაქტიკის დანერგვა, შედეგების გაანალიზება და შესაბამისი შემდგომი რეაგირების უზრუნველყოფა.

COPYRIGHT © LLC ALTE UNIVERSITY. THE MATERIALS GIVEN IN THIS MANUAL FOR QUALITY ASSURANCE OF CLINICAL STAGE ARE INDICATED FOR PERSONAL AND EDUCATIONAL PURPOSES ONLY. PRIOR WRITTEN PERMISSION MUST BE OBTAINED FROM LLC ALTE UNIVERSITY FOR USE IN ANY ACADEMIC PROGRAM(S), TRAINING(S) OR/AND FOR OTHER PURPOSES | საავტორო უფლება © შპს ალტე უნივერსიტეტი - კლინიკური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში მოცემული მასალები მითითებულია მხოლოდ პირადი მოხმარებისა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ში, ტრენინგ(ებ)ში ან/და სხვა მიზნით ამ დოკუმენტის გამოყენებამდე, საჭიროა შპს ალტე უნივერსიტეტის წინასწარი წერილობითი თანხმობა ამგვარ გამოყენებაზე

მოქმედების სფერო

დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება კლინიკური საფეხურის ყველა მოდულზე, მოდულის განმახორციელებლებზე, სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირებზე, კლინიკური პრაქტიკის ობიექტებსა და სტუდენტებზე, რომლებიც მონაწილეობენ კლინიკურ სწავლებაში.

მოთხოვნები კლინიკური სასწავლო გარემოსადმი

კლინიკურ სასწავლო გარემოში სწავლების უზრუნველყოფისათვის განსაზღვრული წინამდებარე მოთხოვნები ეფუძნება მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებსა და საუკეთესო ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკებს, რომელთა მიხედვითაც გარემოს, სტუდენტთა და პაციენტთა მიმართ დადგენილი მინიმალური სტანდარტები შემდეგია:

მედიცინის პროგრამის სწავლების პროცესში:

- თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, სათანადო სასწავლო ფართით უზრუნველყოფილი ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების მიმწოდებელი კლინიკები, სადაც უზრუნველყოფილია წვდომა სასწავლო რესურსებზე (ელექტრონული ბაზები, ბეჭდური ლიტერატურა და გამოცემები) *(საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა).*
- კლინიკური პრაქტიკისთვის განკუთვნილი ლაბორატორიები, სიმულაციური ცენტრები და პაციენტებთან უშუალო მუშაობის შესაძლებლობები *(საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა).*
- სასწავლო პროცესის და პაციენტების ნაკადების მართვის ეფექტიანი სისტემა *(საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა).*
- სასწავლო პროცესის დაგეგმვის ელექტრონული პლატფორმები *(საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა).*
- საუნივერსიტეტო/სასწავლო კლინიკასა და/ან აფილირებული კლინიკაში პაციენტი/სტუდენტის თანაფარდობა სასწავლო კურსის/კურაციის განმავლობაში უნდა შეადგენდეს *(მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით):*
    - თერაპიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტისა

COPYRIGHT © LLC ALTE UNIVERSITY. THE MATERIALS GIVEN IN THIS MANUAL FOR QUALITY ASSURANCE OF CLINICAL STAGE ARE INDICATED FOR PERSONAL AND EDUCATIONAL PURPOSES ONLY. PRIOR WRITTEN PERMISSION MUST BE OBTAINED FROM LLC ALTE UNIVERSITY FOR USE IN ANY ACADEMIC PROGRAM(S), TRAINING(S) OR/AND FOR OTHER PURPOSES | საავტორო უფლება © შპს ალტე უნივერსიტეტი - კლინიკური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში მოცემული მასალები მითითებულია მხოლოდ პირადი მოხმარებისა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ში, ტრენინგ(ებ)ში ან/და სხვა მიზნით ამ დოკუმენტის გამოყენებამდე, საჭიროა შპს ალტე უნივერსიტეტის წინასწარი წერილობითი თანხმობა ამგვარ გამოყენებაზე

- ქირურგიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტისა
- მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტისა
- პედიატრიის დეპარტამენტში - დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტისა
- რეანიმაციის/ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 6 სტუდენტისა

კლინიკური სწავლების პროცესში პაციენტი/სტუდენტის თანაფარდობის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელია მედიცინის საერთაშორისო სკოლა (მათ შორის - კლინიკური სწავლების პროცესში ჩართული აკადემიური მენეჯერი).

სტომატოლოგიის პროგრამის სწავლების პროცესში:

მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, საუნივერსიტეტო და აფილირებული სტომატოლოგიური სასწავლო კლინიკები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სასწავლო ფართით, კერძოდ:

- 1-დანადგარიანი სტომატოლოგიური კაბინეტი - არანაკლებ 12 კვ.მ - სა.
- დარბაზული სისტემის სტომატოლოგიური კაბინეტი - არანაკლებ 18კვ.მ (12+6 კვ.მ) ყოველ 2 სტომატოლოგიურ დანადგარზე გათვლით.
- სტომატოლოგიურ დანადგარებს შორის მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტ რისა (საფანტომო სწავლების შემთხვევაში არანაკლებ 1.5 მ-ისა.)
- სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ელექტრონული და წიგნადი ს ასწავლო რესურსი.
- სტომატოლოგიური სავარძლის/სტუდენტის (პაციენტი /სტუდენტის) თანაფა რდობა სასწავლო კურაციის განმავლობაში უნდა იყოს:
- 1 სტომატოლოგიურ დანადგართან - ერთდროულად, არაუმეტეს 4 სტუდენტ ისა - განსაზღვრულია მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით. უნივერსიტეტის შიდა სტანდარტით კი - საფანტომო სწავლების შემთხვევაში 1 სტომატოლოგიურ დანადგართან ერთდროულად არაუმეტეს 2 სტუდენტისა.

მოთხოვნები კლინიკურ სწავლებაში ჩართული ადამიანური რესურსებისადმი

- შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი
- გამოცდილება:
  - პროფესორს: პედაგოგიური – სულ მცირე 6 წელი, კლინიკური – სულ მცირე ბოლო 9 წელი.

COPYRIGHT © LLC ALTE UNIVERSITY. THE MATERIALS GIVEN IN THIS MANUAL FOR QUALITY ASSURANCE OF CLINICAL STAGE ARE INDICATED FOR PERSONAL AND EDUCATIONAL PURPOSES ONLY. PRIOR WRITTEN PERMISSION MUST BE OBTAINED FROM LLC ALTE UNIVERSITY FOR USE IN ANY ACADEMIC PROGRAM(S), TRAINING(S) OR/AND FOR OTHER PURPOSES | საავტორო უფლება © შპს ალტე უნივერსიტეტი - კლინიკური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში მოცემული მასალები მითითებულია მხოლოდ პირადი მოხმარებისა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ში, ტრენინგ(ებ)ში ან/და სხვა მიზნით ამ დოკუმენტის გამოყენებამდე, საჭიროა შპს ალტე უნივერსიტეტის წინასწარი წერილობითი თანხმობა ამგვარ გამოყენებაზე

- ➢ ასოცირებულ პროფესორს: პედაგოგიური – სულ მცირე, 3 წელი, კლინიკური – სულ მცირე, ბოლო 5 წელი.
- ➢ ასისტენტ-პროფესორს: კლინიკური – სულ მცირე, ბოლო 3 წელი.
- ➢ ასისტენტს - დოქტორანტი კლინიკურ სპეციალობაში.
- ➢ მოწვეულ სპეციალისტს/მასწავლებელს: კლინიკური – სულ მცირე, ბოლო 3 წელი.

- ინგლისურენოვანი მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამის კლინიკურ სწავლებაში ჩართული პერსონალისათვის:
  - ➢ ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, 3 წლის გამოცდილება ან
  - ➢ საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში ინგლისურ ენაზე საექიმო საქმიანობის განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში ან
  - ➢ საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით დაწესებულებაში ბიომედიცინის მიმართულებით სასწავლო/კვლევითი საქმიანობის ინგლისურ ენაზე განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში ან
  - ➢ ინგლისურენოვანი დიპლომამდელი ან დიპლომისშემდგომი პროგრამის დასრულება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით ან
  - ➢ ინგლისური ენის, სულ მცირე, B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert, EnglishScore და სხვ.).

კლინიკური სწავლების პროცესში სტუდენტების მიერ გამომუშავებული უნარები

მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, კლინიკური სწავლების პროცესში სტუდენტებს უნდა გამოუმუშავდეთ შემდეგი პრაქტიკული უნარები:

- პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა.
- კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა.
- დახმარების გაწევა გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები).
- მედიკამენტების შერჩევა და გამოწერა.
- პრაქტიკული პროცედურების ჩატარება.
- სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია.

COPYRIGHT © LLC ALTE UNIVERSITY. THE MATERIALS GIVEN IN THIS MANUAL FOR QUALITY ASSURANCE OF CLINICAL STAGE ARE INDICATED FOR PERSONAL AND EDUCATIONAL PURPOSES ONLY. PRIOR WRITTEN PERMISSION MUST BE OBTAINED FROM LLC ALTE UNIVERSITY FOR USE IN ANY ACADEMIC PROGRAM(S), TRAINING(S) OR/AND FOR OTHER PURPOSES | საავტორო უფლება © შპს ალტე უნივერსიტეტი - კლინიკური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში მოცემული მასალები მითითებულია მხოლოდ პირადი მოხმარებისა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ში, ტრენინგ(ებ)ში ან/და სხვა მიზნით ამ დოკუმენტის გამოყენებამდე, საჭიროა შპს ალტე უნივერსიტეტის წინასწარი წერილობითი თანხმობა ამგვარ გამოყენებაზე

- სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება.
- პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება.
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება.
- სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება.
- სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება.
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა და ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა.

სტუდენტების შეფასების მეთოდები

მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებზე დაყრდნობით, კლინიკური სწავლების პროცესში სტუდენტის შეფასებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას შემდეგი მეთოდები:

- ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდები (OSCE).
- წერითი დავალებები და კლინიკური შემთხვევების ანალიზი. *(საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა)*
- კლინიკური სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე WPBA (Work Place Based Assessment) - ე.წ. შეფასება სამუშაო (კლინიკურ) გარემოში.
- (DOPS) Direct Observation of Procedural Skills - პირდაპირი დაკვირვება პროცედურების შესრულების უნარებზე.
- (Mini-CEX) Mini Clinical Evaluation Exercise - მინი-კლინიკური შეფასების სავარჯიშო.
- (CBD) Case Based Discussion - შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია.
- (MSF) Multi-source feedback, 360^0 შეფასება - მრავალმხრივი შეფასება.

COPYRIGHT © LLC ALTE UNIVERSITY. THE MATERIALS GIVEN IN THIS MANUAL FOR QUALITY ASSURANCE OF CLINICAL STAGE ARE INDICATED FOR PERSONAL AND EDUCATIONAL PURPOSES ONLY. PRIOR WRITTEN PERMISSION MUST BE OBTAINED FROM LLC ALTE UNIVERSITY FOR USE IN ANY ACADEMIC PROGRAM(S), TRAINING(S) OR/AND FOR OTHER PURPOSES | საავტორო უფლება © შპს ალტე უნივერსიტეტი - კლინიკური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში მოცემული მასალები მითითებულია მხოლოდ პირადი მოხმარებისა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ში, ტრენინგ(ებ)ში ან/და სხვა მიზნით ამ დოკუმენტის გამოყენებამდე, საჭიროა შპს ალტე უნივერსიტეტის წინასწარი წერილობითი თანხმობა ამგვარ გამოყენებაზე

- პროფესიონალიზმის შეფასებისათვის შესაძლებელია პორტფოლიოს ან/და P-MEX – Professionalism Mini-Evaluation Exercise (ფასდება პაციენტთან კომუნიკაციის უნარი, ემპათია, დროის მენეჯმენტი, ინტერპროფესიული ურთიერთობა, პუნქტუალობა) გამოყენება.

კლინიკური სწავლების/პრაქტიკის განხორციელების ინდიკატორები

კლინიკური სწავლების ეფექტურობის შესაფასებლად უნივერსიტეტის მედიცინის საერთაშორისო სკოლა გამოიყენებს ქვემოთ ჩამოთვლილ ასპექტებს:

- კლინიკური მოდულების შეფასების ქულები - სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი პრაქტიკულ და კლინიკურ გამოცდებზე (OSCE, OSPE).
- პროგრამის კლინიკურ კომპონენტებში სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებელი.
- სწავლის დასრულების მაჩვენებლები: იმ სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომლებიც წარმატებით ასრულებენ კლინიკურ როტაციებს.
- სარეზიდენტო საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები: სტუდენტების/კურსდამთავრებულების ჩაბარების საშუალო მაჩვენებელი და ქულების რეიტინგი სამედიცინო სალიცენზიო გამოცდებზე (მაგ. USMLE, COMLEX).

აკადემიური მოსწრების, კლინიკურ კომპონენტებში სწავლის შედეგების მიღწევის და სწავლის დასრულების მაჩვენებლის ანალიზს, ყოველსემესტრულად ახორციელებს შესაბამისი პროგრამის კომიტეტი და იღებს გადაწყვეტილებას, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის პაკეტში შესაბამისი ცვლილებების წარმოდგენის შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის - კლინიკური სწავლების განხორციელების შეფასების ინდიკატორის - სარეზიდენტო და სალიცენზიო გამოცდების სტატისტიკის წარმოებას ახორციელებს კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

პერსონალის განვითარება

მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელზე დაყრდნობით, კლინიკური სწავლების პროცესში პერსონალის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კერძოდ, მედიცინის პროგრამის განმახორციელებელი

COPYRIGHT © LLC ALTE UNIVERSITY. THE MATERIALS GIVEN IN THIS MANUAL FOR QUALITY ASSURANCE OF CLINICAL STAGE ARE INDICATED FOR PERSONAL AND EDUCATIONAL PURPOSES ONLY. PRIOR WRITTEN PERMISSION MUST BE OBTAINED FROM LLC ALTE UNIVERSITY FOR USE IN ANY ACADEMIC PROGRAM(S), TRAINING(S) OR/AND FOR OTHER PURPOSES | საავტორო უფლება © შპს ალტე უნივერსიტეტი - კლინიკური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში მოცემული მასალები მითითებულია მხოლოდ პირადი მოხმარებისა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ში, ტრენინგ(ებ)ში ან/და სხვა მიზნით ამ დოკუმენტის გამოყენებამდე, საჭიროა შპს ალტე უნივერსიტეტის წინასწარი წერილობითი თანხმობა ამგვარ გამოყენებაზე

აკადემიური და მოწვეული პერსონალი რეგულარულად (2 წელიწადში ერთხელ), ხოლო სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი (5 წელიწადში ერთხელ) უნდა გადიოდნენ ტრენინგს სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი სერტიფიკატით.

- მიზანშეწონილია დაწესებულება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ყოველკვირეული დატვირთვის განსაზღვრისას იყენებდეს სრული დატვირთვის ექვივალენტის განსაზღვრის (Full time equivalent (FTE) მეთოდოლოგიას.

უნივერსიტეტმა კლინიკური სწავლების პერსონალს უნდა შესთავაზოს:

- უწყვეტი სამედიცინო განათლების (Continuing Medical Education (CME)) ტრენინგები.
- სამუშაო შეხვედრები და სემინარები.
- თანამედროვე სწავლების მეთოდების შესახებ ინფორმაციული მასალები.

სასწავლო გეგმა და სასწავლო მასალა

- კლინიკური სწავლება უნდა ხორციელდებოდეს ალტე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმების მიხედვით.
- სასწავლო მასალა უნდა იყოს უახლესი (სასურველია - ბოლო 5 წლის გამოცემა), მტკიცებულებებზე დაფუძნებული და კლინიკური პრაქტიკის შესაბამისი.

სწავლების და სწავლის მეთოდები

 კლინიკურ სასწავლო გარემოში გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც ეფუძნება მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს.

- ინტერაქტიული ლექცია
- პაციენტის საწოლთან სწავლება (Bedside Teaching).
- ექიმი-პაციენტი-როლების შესრულება.
- მენტორობა და უკუკავშირი.
- ლაბორატორიული მუშაობა.

COPYRIGHT © LLC ALTE UNIVERSITY. THE MATERIALS GIVEN IN THIS MANUAL FOR QUALITY ASSURANCE OF CLINICAL STAGE ARE INDICATED FOR PERSONAL AND EDUCATIONAL PURPOSES ONLY. PRIOR WRITTEN PERMISSION MUST BE OBTAINED FROM LLC ALTE UNIVERSITY FOR USE IN ANY ACADEMIC PROGRAM(S), TRAINING(S) OR/AND FOR OTHER PURPOSES | საავტორო უფლება © შპს ალტე უნივერსიტეტი - კლინიკური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში მოცემული მასალები მითითებულია მხოლოდ პირადი მოხმარებისა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ში, ტრენინგ(ებ)ში ან/და სხვა მიზნით ამ დოკუმენტის გამოყენებამდე, საჭიროა შპს ალტე უნივერსიტეტის წინასწარი წერილობითი თანხმობა ამგვარ გამოყენებაზე

- სწავლება შესაბამისი სიმულატორების გამოყენებით. შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება (Case Based Learning (CBL)).
- პრაქტიკული მეცადინეობები კლინიკურ ობიექტებზე.
- სამედიცინო დაწესებულებებში ამბულატორიული და სტაციონარული დოკუმენტაციის, ელექტრონული ისტორიების გამოყენების სწავლება.
- დისტანციური სწავლების ტექნოლოგიები (საჭიროებისამებრ)

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

1. **კლინიკური სწავლების ობიექტების მონიტორინგი ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ:**

- საუნივერსიტეტო და აფილირებულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მონიტორინგი და დადარება მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის სტანდარტებთან, წინამდებარე სახელმძღვანელოსთან, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტებთან, შიდა და გარე მარეგულირებელ დოკუმენტებთან და საუკეთესო ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ ხდება წელიწადში ერთხელ, ხოლო ახალი ხელშეკრულების გაფორმებისას შემუშავების ეტაპზე. ხელშეკრულებების და მოთხოვნების დადარების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, საჭიროების შემთხვევაში, გასცემს რეკომენდაციას და/ან რჩევას ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის შეტანის შესახებ.
- სემესტრული ვიზიტები ხარისხის მონიტორინგისთვის ხორციელდება სემესტრში ერთხელ.
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი მონიტორინგის შემდეგ 1 თვის ვადაში შეიმუშავებს ანგარიშს კარგი პრაქტიკების და გასაუმჯობესებელი არეების შესახებ შესაბამისი რეკომენდაციების და რჩევების მითითებით.
- მონიტორინგის ანგარიში გაუზიარდება უნივერსიტეტის პრეზიდენტს, ვიცე პრეზიდენტს აკადემიურ საქმეთა და კვლევების მიმართულებით, ვიცე პრეზიდენტს ფინანსების და საოპერაციო მიმართულებით და შესაბამისი სკოლის დეკანს შემდგომი რეაგირების დასაგეგმად.

COPYRIGHT © LLC ALTE UNIVERSITY. THE MATERIALS GIVEN IN THIS MANUAL FOR QUALITY ASSURANCE OF CLINICAL STAGE ARE INDICATED FOR PERSONAL AND EDUCATIONAL PURPOSES ONLY. PRIOR WRITTEN PERMISSION MUST BE OBTAINED FROM LLC ALTE UNIVERSITY FOR USE IN ANY ACADEMIC PROGRAM(S), TRAINING(S) OR/AND FOR OTHER PURPOSES | საავტორო უფლება © შპს ალტე უნივერსიტეტი - კლინიკური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში მოცემული მასალები მითითებულია მხოლოდ პირადი მოხმარებისა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ში, ტრენინგ(ებ)ში ან/და სხვა მიზნით ამ დოკუმენტის გამოყენებამდე, საჭიროა შპს ალტე უნივერსიტეტის წინასწარი წერილობითი თანხმობა ამგვარ გამოყენებაზე

- ანგარიშებში გაცემული რეკომენდაციების და/ან რჩევების შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე.

2. სწავლების და სწავლის მეთოდების შეფასება

სწავლების და სწავლის მეთოდების შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახალი პროგრამის შემთხვევაში სკოლის საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროგრამას ადარებს მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, აკრედიტაციის სტანდარტებს, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს. რის შედეგადაც, საჭიროების შემთხვევაში, გასცემს რეკომენდაციებს და/ან რჩევებს სწავლების და სწავლის მეთოდების ცვლილების/დამატების/ამოღების შესახებ. ხოლო მოქმედი პროგრამის შემთხვევაში, სემესტრულად პროგრამის ფორმაში ან სილაბუსებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში იგივე პრინციპით რაც ახალი პროგრამის შემთხვევაში გამოიყენება, ხდება სწავლების და სწავლის მეთოდებში შეტანილი ცვლილებების შეფასება. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ცვლილებების შეტანა ასევე ხდება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების კვლევების საფუძველზე.

3. კლინიკურ სწავლებაში ჩართული განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის შეფასება

კლინიკურ სწავლებაში ჩართვისთვის ახალი თანამშრომლის აყვანის ეტაპზე შესაბამისი კომისია უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეფასებას უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, დარგობრივი მახასიათებლების (მედიცინის და სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების), აკრედიტაციის სტანდარტების და შიდა რეგულაციების მიხედვით. ხოლო პერსონალის პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაციის დადარება ზემოთაღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილ მოთხოვნებთან ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ აკადემიურ წელიწადში ერთხელ. აღნიშნული დეპარტამენტის მიერ პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, გაწერილი რეკომენდაციები და/ან რჩევები გადაეგზავნება ადამიანების განვითარების და საქმისწარმოების დეპარტამენტს შემდგომი რეაგირებისთვის.

4. დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი:

პროცესების სიღრმისეული შეფასების მიზნით, აუცილებელია დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიღება, რაც კლინიკური სწავლების საფეხურზე შემდეგნაირად ხორციელდება:

COPYRIGHT © LLC ALTE UNIVERSITY. THE MATERIALS GIVEN IN THIS MANUAL FOR QUALITY ASSURANCE OF CLINICAL STAGE ARE INDICATED FOR PERSONAL AND EDUCATIONAL PURPOSES ONLY. PRIOR WRITTEN PERMISSION MUST BE OBTAINED FROM LLC ALTE UNIVERSITY FOR USE IN ANY ACADEMIC PROGRAM(S), TRAINING(S) OR/AND FOR OTHER PURPOSES | საავტორო უფლება © შპს ალტე უნივერსიტეტი - კლინიკური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში მოცემული მასალები მითითებულია მხოლოდ პირადი მოხმარებისა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ში, ტრენინგ(ებ)ში ან/და სხვა მიზნით ამ დოკუმენტის გამოყენებამდე, საჭიროა შპს ალტე უნივერსიტეტის წინასწარი წერილობითი თანხმობა ამგვარ გამოყენებაზე

- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი დაინტერესებული მხარეებისგან არსებულ რესურსების პროცესებისა და სერვისების შესახებ იღებს ინფორმაციას სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პერსონალის მხრიდან. ინფორმაციის მისაღებად გამოიყენება სტანდარტიზებული კითხვარების და ფოკუს ჯგუფების გამოკითხვის შედეგები. დეპარტამენტი მიღებულ შედეგებს ასახავს ხარისხის შეფასების ანგარიშებში და უზიარებს შესაბამის პასუხისმგებელ პირებს. ხარისხის კვლევების განხორციელების სტრატეგია განსაზღვრულია ხარისხის კვლევების პოლიტიკის დოკუმენტით.
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ანგარიშებში გაცემულ რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების მონიტორინგისათვის რეგულარულ შეხვედრებს ატარებს კლინიკური სწავლების ობიექტებზე სასწავლო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან.

დასკვნა

1. წინამდებარე დოკუმენტში შესაძლოა განხორციელდეს ცვლილებები გარე მარეგულირებელ დოკუმენტებში (მათ შორის მედიცინის და სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებში), შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში და შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე.
2. ამ დოკუმენტის დაცვით, ალტე უნივერსიტეტის მედიცინის საერთაშორისო სკოლა მიზნად ისახავს სკოლის მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, მათ შორის უზრუნველყოს თითოეული სტუდენტისთვის კლინიკური სწავლების უმაღლესი სტანდარტები და ხელი შეუწყოს მის მუდმივ გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი დოკუმენტები:

- სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) ხარისხის განვითარების გლობალური სტანდარტები (2020 წ.) https://wfme.org/standards/
- ამერიკული სამედიცინო კოლეჯების ასოციაციის (AAMC) რეკომენდაციები https://www.aamc.org/
- სამედიცინო განათლების საკითხებზე კოორდინაციის კომიტეტის (LCME) სტანდარტები https://lcme.org/publications/

COPYRIGHT © LLC ALTE UNIVERSITY. THE MATERIALS GIVEN IN THIS MANUAL FOR QUALITY ASSURANCE OF CLINICAL STAGE ARE INDICATED FOR PERSONAL AND EDUCATIONAL PURPOSES ONLY. PRIOR WRITTEN PERMISSION MUST BE OBTAINED FROM LLC ALTE UNIVERSITY FOR USE IN ANY ACADEMIC PROGRAM(S), TRAINING(S) OR/AND FOR OTHER PURPOSES | საავტორო უფლება © შპს ალტე უნივერსიტეტი - კლინიკური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში მოცემული მასალები მითითებულია მხოლოდ პირადი მოხმარებისა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ში, ტრენინგ(ებ)ში ან/და სხვა მიზნით ამ დოკუმენტის გამოყენებამდე, საჭიროა შპს ალტე უნივერსიტეტის წინასწარი წერილობითი თანხმობა ამგვარ გამოყენებაზე

- სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულთა აკრედიტაციის საბჭოს (ACGME) მოთხოვნები https://med.stanford.edu/gme/housestaff/current/core_competencies.html
- მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (EQE) მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (EQE) სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

COPYRIGHT © LLC ALTE UNIVERSITY. THE MATERIALS GIVEN IN THIS MANUAL FOR QUALITY ASSURANCE OF CLINICAL STAGE ARE INDICATED FOR PERSONAL AND EDUCATIONAL PURPOSES ONLY. PRIOR WRITTEN PERMISSION MUST BE OBTAINED FROM LLC ALTE UNIVERSITY FOR USE IN ANY ACADEMIC PROGRAM(S), TRAINING(S) OR/AND FOR OTHER PURPOSES | საავტორო უფლება © შპს ალტე უნივერსიტეტი - კლინიკური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში მოცემული მასალები მითითებულია მხოლოდ პირადი მოხმარებისა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ში, ტრენინგ(ებ)ში ან/და სხვა მიზნით ამ დოკუმენტის გამოყენებამდე, საჭიროა შპს ალტე უნივერსიტეტის წინასწარი წერილობითი თანხმობა ამგვარ გამოყენებაზე